



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 35

2018 წლის 25 მაისი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №78 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №78 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამები დანართები: №6 და №8 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება ამოქმედდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის N31 დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე

